№1662/05 24.04.18

საზოგადოებრივი მაუწყებლის თვითრეგულირების
ორგანოს
დალი სოლომონიძის,
მედიის განვითარების ფონდის - MDF,
ქართველ მუსლმთა კავშირის და
ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის - TDI

საჩივარი

2018 წლის 15 აპრილს,-საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „ახალი კვირის" ეთერში გავიდა სიუჟეტი, სახელწოდებით „ქართული ჰიჯაბი", რომელიც ქართველი მუსლიმი ქალების მიერ ჰიჯაბის ტარების არჩევანს ეხებოდა.

ჩვენი აზრით, აღნიშნული სიუჟეტის ეთერში გაშვებით ტელეკომპანიამ დაარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე- 13 მუხლის 1) და 2) (მაუწყებლის მიერ ზუსტი ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფისათვის წაყენებული მოთხოვნები), 31-ეს 1) (მაუწყებლის მიერ მრავალფეროვნების, თანასწორობის და შემწყნარებლობის პრინციპების დაცვისადმი წაყენებული მოთხოვნები) და 33-ე მუხლის 1) და 2) (მაუწყებლის მიერ მრავალფეროვნების თანასწორობის და ტოლერანტობის პრინციპების დაცვის შესახებ) პუნქტები.

სიუჟეტის წარდგენისას წამყვანს, იმედა დარსალიას, საფრანგეთის მაგალითი მოჰყავს და აცხადებს:

„მუსლიმი ქალის მიერ თმის დაფარვა მუსლიმთა წმინდა წიგნის ყურანის რამდენიმე სურას ეფუძნება, სადაც ისლამის მიმდევრების ჩაცმულობაზეა საუბარი, თუმცა საფრანგეთის ხელისუფლებამ რელიგიური ექსტრემიზმის შიშით, ჰიჯაბის ეგრეთწოდებული თავსაბურავის ტარება სკოლებში ჯერ კიდევ 2004 წელს აკრძალა, მოგვიანებით სტრასბურგის სასამართლომ საფრანგეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას და თქვა, რომ ჰიჯაბი პიროვნების იდენტიფიცირებას ხელს უშლის".

წამყვანის მიერ მოწოდებული ეს ინფორმაცია, რომელიც აუდიტორიას გასაშუქებელი თემის მიმართ თავიდანვე ნეგატიურად განაწყობს, ფაქტობრივ უზუსტობებს და არასრულ ინფორმაციას შეიცავს. კერძოდ:

საფრანგეთის მთავრობის 2004 წლის გადაწყვეტილებით, საჯარო სკოლებში აიკრძალა არა მხოლოდ ისლამის, არამედ ყველა რელიგიის ატრიბუტიკის ტარება, მათ შორის ქრისტიანული, იუდეური, სიქხური და სხვა, რაც მოტივირებული იყო არა „რელიგიური

საზოგადოებრივი მაუწყებელი
ქანცელარია
საქართველო

ექსტრემიზმის შიშით“, არამედ განათლების სისტემაში სეკულარიზმის პრინციპის გამყარებას და სასკოლო სივრცის პროზელიტიზმისგან დაცვას ემსახურებოდა.
ასევე არასწორია წამყვანის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ. აღნიშნულმა ინსტანციამ 2010 წელს მხარი დაუჭირა საფრანგეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას, საჯარო სივრცეში აიკრძალოს იმ ჩაცმულობისა და აქსესუარების ტარება, რომლებიც პიროვნების სახეს ფარავენ, შესაბამისად, ხელს უშლიან მის იდენტიფიცირებას. ისლამური რელიგიური ატრიბუტებიდან აღნიშნულ აკრძალვას ექვემდებარება არა ჰიჯაბი (ჩადრი), როგორც ამას წამყვანი აცხადებს, არამედ ნიქაბი და ბურქა.
შესაბამისად, წამყვანმა დაარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 13-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები, რომელთა თანახმად:
„მაუწყებელი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა უზრუნველყოს ინფორმაციის წყაროს და ფაქტების სიზუსტე.“

„მაუწყებელი ვალდებულია მიაწოდოს აუდიტორიას სანდო და ზუსტი ინფორმაცია, არ დაუშვას ცრუ ამ შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება.“

ასევე დარღვა 32-ე მუხლის 1) პუნქტი:
“მაუწყებელი ვალდებულია სამაუწყებლო ბადეში განათავსოს ზუსტი და სარწმუნო, დაბალანსებული, პროპორციული და თანაზომადი ინფორმაცია საქართველოში მცხოვრებ ყველა კულტურულ, რელიგიურ, ეთნიკურ ჯგუფზე და სოციალურ ფენაზე სამართლიანობის და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით”.

სიუჟეტის დაწყებამდე წამყვანი იმედა დარსალია, რეპორტაჟის ერთ-ერთ გმირს, დალი სოლომონიძეს შემდეგნაირად წარადგენს:
„ახლა ჩვენ მოგიყვებით მაღალმთიანი აჭარიდან საცხოვრებლად ბათუმში გადასული ახალგაზრდა ქართველი ქალის შესახებ, რომელიც ქართველ მუსლიმთა კავშირში გაწევრიანდა, დღეს კი მუსლიმი ქალების უფლებების დასაცავად იბრძვის და ჩადრის საჯარო ტარების კამპანიაც კი დაიწყო“.
მოგვიანებით ჟურნალისტი თამარ ცხომარია სიუჟეტის მეორე გმირის ინგა ბერიძის წარდგენისას კვლავ აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა გოგო „ჩადრის საჯარო ტარების კამპანიას შეუერთდა“ .
დალი სოლომონიძეს ჟურნალისტთან არ განუცხადებია, რომ მან ჩადრის საჯარო ტარების კამპანია დაუწყო, რასაც მის მიერ ჟურნალისტისთვის მიცემული კომენტარიც

ცხადყოფს, სადაც ის ინდივიდუალურ არჩევანზე საუბრობს. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც დარღვეულია მე-13 მუხლის 1 და 2 და 32-ს 1 პუნქტები.

გარდა ფაქტობრივი უზუსტობებისა, წამყვანი სიუჟეტის წარდგენისას აცხადებს, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ, სკოლებში ჰიჯაბის (ჩადრის) ტარება რელიგიური ექსტრემიზმის შიშით აკრძალა, რაც აუდიტორიას მუსლიმი თემის მიმართ იმთავითვე ნეგატიურად განაწყობს. უარყოფით მოვლენასთან რელიგიური ატრიბუტიკის დაკავშირებით ის ახდენს სტერეოტიპის გამყარებას, რომ თავსაბური რელიგიური თვითგამოხატვის ფორმას კი არა, რელიგიურ რადიკალიზმს და ექსტრემიზმს უკავშირდება, რაც კოდექსის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევაა.

"მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებასა და უარყოფით მოვლენებს შორის დაუსაბუთებელი პარალელების გავლებას, მათ შორის ცალკეული პიროვნებების საქმიანობის ასოცირებას მთელ ჯგუფთან".

რელიგიური ატრიბუტიკის ტარების მიმართ ნეგატიურ განწყობებს კიდევ უფრო ამძაფრებს სიუჟეტის ის პასაჟი, სადაც ერთი-ერთი რესპონდენტი, ისტორიკოსი გიორგი ოთხმეზური აცხადებს, რომ ჩადრი მოძველებული ატრიბუტია და „ეს არის მათი უუფლებობის გამოხატულება", რასაც მოსდევს ისტორიული კადრები აჭარაში ჩადრის ტარების წინააღმდეგ კამპანიის შესახებ. ჟურნალისტი 1929 წლის მოვლენებს იხსენებს, როდესაც აჭარაში ამ კამპანიის ფარგლებში, აჭარელმა ქალმა ფემბე ხოზრევანიძემ ჩადრი საჯაროდ დაწვა და განაცხადა: „ძირს ჩადრი, გაუმარჯოს თავისუფალ აჭარელ ქალს!", თუმცა ჟურნალისტმა არ აღნიშნა ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომ 20-იან წლებში, საბჭოთა კავშირის პირობებში არამარტო ისლამის, არამედ ქრისტიანობის წინააღმდეგ აქტიური კამპანია მიმდინარეობდა, ხოლო კომუნისტების ერთ-ერთი გამოწვევა, მათი იდეოლოგიიდან გამომდინარე, აჭარაში ჩადრის ტარების ტრადიციის მოსპობა იყო.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოვითხოვთ მნიშვნელოვანი ფაქტობრივი შეცდომების შესწორებას ღიად და დაუყოვნებლივ, თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით სათანადო საეთერო დროს.

პატივისცემით,

ტარიელ ნაკაიძე, ქართველ მუსლიმთა კავშირი
ქ. ბათუმი გორგადალის ქ. # 1 ბინა 1
email: nakaidzetariel@gmail.com
mobile: 577 47 65 07

ტარიელ ნაკაიძე

დალი სოლომონიძე, ქართველ მუსლიმთა კავშირი
email: dalisolomonidze1@gmail.com
mobile: 577 38 14 80

თინათინ გოგოლაძე, მედიის განვითარების ფონდი (MDF)
ქობულეთის ქ. 34/36, მე-4 სართული, თბილისი
email: mdfgeo@gmail.com
mobile: 557 26 60 47

ეკატერინე ჭითანავა,
ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)
თბილისი, 0179, გოგებაშვილის 42ბ
email: tdigeorgia@gmail.com